სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების № 37

ქ. ჯვარი **25 მარტი 2022 წელი**

შემსყიდველი: სსიპ კოლეჯი „ლაკადა“, წარმომადგენელი მისი - დირექტორის მ/შ თეანა ქუხილავას სახით.
მისამართი: ქ. ჯვარი, ყაზბეგის ქ № 2.
ტელ: 595 50 67 32
საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა, კოდი:TRESGE22.
საიდენტიფიკაციო კოდი - 242728679;

მიმწოდებელი: შპს „ სპექტრი - 2020“- წარმომადგენელი მისი დირექტორის - გოჩა შარვაძეს სახით.
მისამართი - ქ. ტყიბული, გიორგიაძის ქ. № 37
ტელ: 595 25 33 34.
ელ. ფოსტა: gochasharvadze@mail.ru
საბანკო რეკვიზიტები: სს „ლიბერთი ბანკი“, კოდი: LBRTGE22
ანგ № GE06LB0113136600693000
საიდენტიფიკაციო კოდი: 419622527

ერთი მხრივ, სსიპ კოლეჯი „ლაკადა“ წარმოდგენილი მისი დირექტორის მ/შ თეანა ქუხილავას სახით (შემდგომშიშემსყიდველად” წოდებული) და მეორე მხრივ შ.პ.ს ,,სპექტრი 2020“ (მისამართი:ტყიბული, გიორგაძის ქ. № 37) მისი დირექტორის გოჩა შარვაძის სახით (შემდგომში წოდებული „მიმწოდებლად”),„ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო შ ე ს ყ ი დ ვ ე ბ ი ს შ ე ს ა ხ ე ბ “ ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ს კ ა ნ ო ნ ი ს მ ე -3 მ უ ხ ლ ს პ ი რ ვ ე ლ პ უ ნ ქ ტ ი ს „ს [1] ” ქ ვ ე პ უ ნ ქ ტ ი ს შედეგად, დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“(შემდგომში- „ხელშეკრულება“)- შემსყიდველსა დამიმწოდებელს შორის , რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ერთი შემსყიდველს.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“- ხელშეკრულების ჯამურები ღირებულება, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდელმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრული და ზედმიწევნით შესრულების სანაცვლოდ.

1.3 „დღე“, “კვირა“,„თვე“- კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4 „შემსყიდველი“- ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5 მიმწოდებელი - პირი რომელიც ახორციელებს საქონლის, მომსახურების ან სამუშაოს მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6 „საქონელი“-ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანია სსიპ კოლეჯი „ლაკადა“ ს გათბობის მიზნით 15 ტონა ქვანახშირის შესყიდვა

3. ხელშეკრულების ღირებულება და ფასები.

3.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს: 4 650 (ოთხი ათას ექვსას ორმოცდაათი) ლარს, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა ხარჯისა და გადასახადის გათვალისწინებით. (ერთი ტონას ღირებულება - 310,00 ლარი)

3.2 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება უნდა შეიცავდეს შემსრულებლის მიერ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს

4. ანგარისწორების ფორმა და ვადები

4.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ განხორციელდება უნაღოდო ანგარისწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

4.2 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ იწარმოებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს მიწოდების მიღება-ჩაბარების აქტის შესაბამისად.

4.3 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხოირციელდება მიღება ჩაბარების აქტზე მხარეთა მიერ ხელმოწერის შემდეგ 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

5. მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურდება შემსყიდველისა

და მიმწოდებლის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

6. საქონლის მიწოდების ვადა ადგილი და ფორმა:

6.1. მიმწოდებელმა საქონლის მიწოდება უნდა უზრუნველყოს ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში არაუგვიანეს 2022 წლის 3 აპრილამდე.

6.2. მიმწოდებელი საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს საქონლის მიწოდებას შემსყიდველი ორგანიზაციის მისამართზე ქალაქი ჯვარი, ყაზბეგის ქ. № 2

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1 შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპეტქირება.

ბ) სამუშაოების მიწოდების დასრულებამდე გამოითხოვოს მიმწოდებლისგან მისთვის საჭირო დოკუმენტი

7.2 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

ბ) უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.

7.3. მიმწოდებელს უფლება აქვს მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზრაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

7.4 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

ბ) მიაწოდოს სამუშაოები სათანადო ხარისხითა და სრული მოცულობით, იმ ვადაში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულების 6.1 პუნქტში.

გ)უზრუნველყოს სამუშაოების მიწოდება ტექნიკური დოკუმენტაციის შესაბამისად ტექნიკური პარამეტრების დადგენილი პრინციპების დაცვით

8. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

8.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს შემსყიდველის მიერ შექმნილი ინსპექტირების ჯგუფი.

8.2 ინსპექტირება გულისხმობს შემსრულებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე მიწოდებული საქონლის ხარისხის კონტროლს.

8.3 ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზრაურება ეკისრება შემსრულებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9. სტანდარტი

9.1 ხელშეკრულების ფარგლებში სამუშაოები უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მიღებულ სტანდარტებს.

10. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის.

10.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,02%-ის ოდენობით. იმ შემთხვევაში თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2(ორი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება 10.2- პუნქტის შესაბამისად.

10.2 ხელშეკრულების ნაწილობრივ შესრულების შემთხვევაში მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო შესასრულებელი(დარჩენილი) ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 10%-ის ოდენობით.

10.3 ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისთვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს ანაზღაურება ხელშეკრულების საერთო ღირებულების 20%-ის ოდენობით

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

11.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

11.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობებს შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილის ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

11.5. მხარე ვალდებულია არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს 11.4 პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის თაობაზე.

11.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე

12. დაუძლეველი ძალა

12.1 მხარეების თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

12.2 თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლიბლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათვაისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

12.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი.

13.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1. ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2022 წლის 30 მაისის ჩათვლით

მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:	**მიმწოდებელი**:
სსიპ კოლეჯი ,,ლაკადა“	შ.პ.ს ,,სპექტრი 2020“
დირექტორის მ/შ თეანა ქუხილავა	დირექტორი: გოჩა შარვაძე